ვლადიმერ ლუარსაბიშვილი

ვალიადოლიდის უნივერსიტეტი, ესპანეთი

13-17 აპრილს, Erasmus+-ის პროგრამის აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში, გაიმართა საერთაშორისო კვირეული ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის რომელშიც მონაწილეობა მიიღო კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორმა ვლადიმერ ლუარსაბიშვილმა.

პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვალიადოლიდის უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს წარუდგინა ინფორმაცია კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო აქტივობების შესახებ, ასევე გააცნო ინფორმაცია საკუთარი სამეცნიერო კვლევისა და სალექციო კურსების შესახებ. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ვლადიმერ ლუარსაბიშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დაგეგმილ აქტივობაში, როგორიც იყო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ციფრული მეთოდების გამოყენების შესახებ და ელექტრონული პროგრამების შექმნა სასწავლო მიზნების გაუმჯობესების მიზნით, რამაც გააღრმავა მისი პროფესიული გამოცდილება. ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების, აკადემიური პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი უნივერსიტეტები, გაცვალეს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებზე რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას და აღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.